# 4 ერთში & MMR ვაქცინები

ინფორმაცია იმ ბავშვების მშობლებისთვის, რომლებიც არიან Junior Infants (დაწყებითი სკოლის პირველკლასში)

## 4 ერთში ვაქცინა

### რა არის 4 ერთში ვაქცინის სახელწოდება?

4 ერთში ვაქცინას ჰქვია ტეტრავაკი (Tetravac).

### რა არის 4 ერთში ვაქცინა?

4 ერთში ეწოდება ვაქცინას, რომელიც იცავს დიფტერიის, პოლიომიელიტის, ტეტანუსისა და ყივანახველასგან. ყველა ეს ინფექცია მძიმე დაავადებაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჰოსპიტალიზაცია ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში - სიკვდილი.

| დაავადებები, რომლისგანაც იცავს | გავრცელებული სიმპტომები | შესაძლო გართულებები |
|---|---|---|
| ტეტანუსი | კუნთის მტკივნეული სპაზმები | კონვულსიები (კრუნჩხვები)<br>ყბის კუნთების სპაზმი<br>სიკვდილი |
| დიფტერია | ყელის ტკივილი<br>აჩქარებული გულისცემა | სუნთქვის გაძნელება<br>დამბლა<br>გულის უკმარისობა<br>სიკვდილი |
| ყივანახველა (ყივანახველა) | შემაწუხებელი, ყივილის მაგვარი ხველა | სუნთქვის გაძნელება<br>გულის და ფილტვის უკმარისობა<br>სიკვდილი |
| პოლიომიელიტი | ცხელება<br>თავის ტკივილი<br>ღებინება | დამბლა<br>სიკვდილი |

### ვის სჭირდება 4 ერთში ვაქცინა?

თქვენს შვილს უნდა გაუკეთდეს ამ დაავადებებისგან დამცავი ვაქცინები ორი, ოთხი და ექვსი თვის ასაკში, როგორც 6 ერთში ვაქცინის ნაწილი.

თქვენი შვილის იმუნიტეტის გასაძლიერებლად და ამ დაავადებების წინააღმდეგ დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად, დამატებითი დოზა საჭიროა დაწყებითი სკოლის პირველკლასში (Junior Infants).

## არსებობენ ისეთი ბავშვები, რომლებმაც არ უნდა გაიკეთონ 4 ერთში ვაქცინა?

ძალიან ცოტაა ისეთი ბავშვი, რომელმაც არ უნდა გაიკეთოს 4 ერთში ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა გაიკეთოს აცრა, თუკი მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილაქსია) წინა ვაქცინაზე ან ვაქცინის რომელიმე ნაწილზე ან ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია ანტიბიოტიკებზე - პოლიმიქსინი ბ, სტრეპტომიცინი და ნეომიცინი.

**თქვენ უნდა გადადოთ 4 ერთში ვაქცინის გაკეთება, თუკი თქვენი შვილი:**
• ავადაა მაღალი სიცხით.

## აქვს თუ არა 4 ერთში ვაქცინას რაიმე გვერდითი მოვლენა?

ბავშვების უმრავლესობას ამ ვაქცინის შემდეგ არანაირი პრობლემა არ აქვს.
ყველაზე ხშირი გვერდითი მოვლენა არის მტკივანი, წითელი ან შეშუპებული მკლავი. იშვიათ შემთხვევაში მკლავის შეშუპება შესაძლოა შეინიშნებოდეს მხრიდან იდაყვამდე. ეს, როგორც წესი, ხდება აცრიდან 2 დღის განმავლობაში და 4-5 დღეში გაივლის. ანტიობიტიკი საჭირო არ არის ამ ადგილობრივი რეაქციის სამკურნალოდ. თქვენ შეგიძლიათ მისცეთ პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მიაღებინოთ დიდი ოდენობით სითხე. დარწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელა და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარ ადგილს.
უფრო იშვიათად ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ სიცხე ან თავის ტკივილი ან თავს ცუდად გრძნობდნენ.

# MMR Vვაქცინა

## რა ჰქვია MMR ვაქცინას?

MMR ვაქცინას ჰქვია პრიორიქსი (Priorix) ან ემ-ემ-ერვაქსპრო (MMRVaxPro).

## რა არის MMR ვაქცინა?

MMR ვაქცინა იცავს თქვენს შვილს წითელას, წითურას და ყბაყურასგან.

წითელა, წითურა და ყბაყურა გამოწვეულია ვირუსებით და ძლიერ გადამდები დაავადებებია.
ისინი ვრცელდება, როცა ვირუსი გადაედება დაავადებული ადამიანისგან იმ პირს, რომელსაც არ აქვს მის საწინააღმდეგო დაცვა.

| **დაავადებები, რომლისგანაც იცავს** | **გავრცელებული სიმპტომები** | **შესაძლო გართულებები** |
|---|---|---|
| წითელა | ცხელება<br>გამონაყარი<br>დაწითლებული და მტკივანი თვალები | ენცეფალიტი (ტვინის შეშუპება)<br>პნევმონია<br>ბრონქიტი<br>ყურის ინფექციები |
| ყბაყურა | ყბის ქვეშ მტკივანი და შესიებული ჯირკვლები და ცხელება | მენინგიტი<br>სიყრუე<br>შეშუპებული, მტკივანი საკვერცხეები ზრდასრულ მამაკაცებში |

| | | |
|---|---|---|
| წითურა | ცხელება და გამონაყარი | თუკი ორსული ქალი დაავადდა წითურით, მის შვილს შესაძლოა განუვითარდეს მნიშვნელოვანი თანდაყოლილი დეფექტები, მათ შორის სიბრმავე, ტვინის დაზიანება, სიყრუე, გულის პრობლემები და სხვა სერიოზული გართულებები |

## ვის სჭირდება MMR ვაქცინა?

თქვენს შვილს უნდა გაუკეთდეს MMR ვაქცინა 12 თვის ასაკში. ბავშვებს მეორე დოზა უნდა გაუკეთდეს დაწყებითი სკოლის პირველკლასში (Junior Infants).

MMR ვაქცინის ორი დოზა თქვენი შვილისთვის საუკეთესო დაცვას უზრუნველყოფს.

თუკი თქვენს შვილს აქამდე არასოდეს გაუკეთებია MMR ვაქცინა, მაშინ მან მეორე დოზა პირველი დოზიდან 1 თვის შემდეგ უნდა გაიკეთოს.

## არსებობენ ისეთი ბავშვები, რომლებმაც არ უნდა გაიკეთონ MMR ვაქცინა?

ძალიან ცოტაა ისეთი ბავშვი, რომელმაც არ უნდა გაიკეთოს MMR ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა გაიკეთოს ვაქცინა, თუკი მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილაქსია) წინა MMR ვაქცინაზე ან მის რომელიმე ნაწილზე ან ნეომიცინზე ან ჟელატინზე, რომელსაც შეიცავს MMR ვაქცინა.

**თქვენ უნდა გადადოთ MMR ვაქცინის გაკეთება, თუკი თქვენი შვილი:**

- ავადაა მაღალი სიცხით
- კორტიკოსტეროიდების მაღალ დოზას იღებს
- გადის ქიმიოთერაპიის ან რადიოთერაპიის კურსს
- აქვს რაიმე სნეულება ან დაავადება, რაც ზეგავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე.

## არის თუ არა რაიმე კავშირი MMR ვაქცინასა და აუტიზმს შორის?

არა. კვლევამ აჩვენა, რომ არავითარი კავშირი MMR ვაქცინასა და აუტიზმს შორის არ არის.

## აქვს თუ არა MMR ვაქცინას რაიმე გვერდითი მოვლენა?

ბავშვების უმრავლესობას ამ ვაქცინის შემდეგ არანაირი პრობლემა არ აქვს. გვერდითი მოვლენები გაცილებით უფრო იშვიათია MMR ვაქცინის მე-2 დოზის შემდეგ. ზოგიერთ ბავშვს შესაძლოა განუვითარდეს ნანემსარ ადგილის შეშუპება და სიწითლე ან შეაწუხოს ტკივილმა. იშვიათად ბავშვებს შესაძლოა დაემართოთ "მინი წითელა" გამონაყარით და სიცხით 6-10 დღის შემდეგ. ბავშვებს შესაძლოა დაემართოთ "მინი ყბაყურა" ყბის არეში შეშუპებით აცრის გაკეთებიდან მესამე კვირას. ეს გადამდები არ არის. 4 ერთში და MMR ვაქცინები ერთ დღეს კეთდება და თქვენს შვილს გაუკეთდება თითო აცრა თითო მკლავში.

**თქვენი შვილები დაცულნი უნდა იყვნენ ამ 7 ინფექციური დაავადებისგან სკოლის დაწყებისას.**

თქვენმა შვილმა უკვე გაიკეთა აცრები დიფტერიის, პოლიომიელიტის, ტეტანუსის, ყივანახველას, წითელას, წითურას და ყბაყურას წინააღმდეგ ჩვილობის დროს. ამ დაავადებების საწინააღმდეგო იმუნიტეტი დროთა განმავლობაში მცირდება, ამიტომ რეკომენდებულია გამაძლიერებელი (ბუსტერ) დოზა დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად.

თქვენი შვილის იმუნურ სისტემას მარტივად შეუძლია გაუმკლავდეს ამ ვაქცინებს. ეს ვაქცინები ერთად კეთდება იმისთვის, რომ თქვენს შვილს ამ დაავადებების წინააღმდეგ საუკეთესო დაცვა ჰქონდეს.

## როგორ უნდა გაუკეთდეს ეს ვაქცინები თქვენს შვილს?

ეს ვაქცინები შედის გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სააგენტოს (HSE) სკოლის იმუნიზაციის პროგრამაში. თქვენ მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას და თანხმობის ფორმას თქვენი შვილისთვის აცრის გაკეთებამდე.

დონეგალში, სლაიგოსა და ლაიტრიმში ეს ვაქცინები კეთდება თქვენი ექიმი-თერაპევტის მიერ. ამ საგრაფოებში თქვენ მიიღებთ წერილს HSE-სგან, რომლითაც გთხოვთ, მიხვიდეთ თქვენს ექიმ-თერაპევტთან აცრის გაკეთების დროს.

## შეიძლება ჩემი შვილისთვის COVID-19-ის აცრის და სხვა აცრის გაკეთება?

სიფრთხილისთვის, რეკომენდებულია, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის, COVID-19 ვაქცინა და ნებისმიერი სხვა ვაქცინა განცალკევებული იყოს 14 დღით.

## როგორ შეიძლება თქვენი შვილი მოემზადოს ვაქცინაციის დღისთვის?

აცრის დღეს თქვენმა შვილმა უნდა:
ისაუზმოს
ეცვას თავისუფალი, მოკლე სახელოებიანი ზედა
თუ შესაძლებელია, სკოლაში თან იქონიოს მისი იმუნიზაციის პასპორტი.

## რა ხდება თუკი თქვენი შვილი გააცდენს სკოლის ვაქცინაციის დღეს?

თქვენი შვილი მაინც შეძლებს აცრების გაკეთება. HSE უზრუნველყოფს თქვენი შვილისთვის აცრის გაკეთებას HSE-ის კლინიკაში ან შესაძლოა გთხოვოთ თქვენი შვილის მიყვანა თქვენს ექიმ-თერაპევტთან აცრის გასაკეთებლად.

## რა ხდება მაშინ, როცა თქვენს შვილს სჭირდება MMR ვაქცინის მეორე დოზა?

HSE უზრუნველყოფს თქვენი შვილისთვის აცრის გაკეთებას.

## დამატებითი ინფორმაცია

თუკი გაქვთ რაიმე კითხვები, გთხოვთ, განიხილოთ ისინი თქვენი HSE-ის სკოლის ვაქცინაციის პროგრამის ჯგუფის წევრთან, თქვენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექთანთან ან თქვენს ექიმ-თერაპევტთან.

ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს www.immunisation.ie ამ ინფექციური დაავადებების და ვაქცინების შესახებ მეტი ინფორმაციის წასაკითხად.

თქვენ შეგიძლიათ ასევე ნახოთ ვაქცინებისთვის პაციენტთა საინფორმაციო ბროშურების ბმულები მისამართზე www.hpra.ie. მოიძიეთ

4 in 1 and MMR Leaflet Junior Infants
Georgian

ტეტრავაკი (4 ერთში), პრიორიქსი ან ემ-ემ-ერვაქსპრო (MMR), იმისთვის, რომ წაიკითხოთ პაციენტის საინფორმაციო ბროშურა.

თანხმობის ფორმა ვაქცინებისთვის თქვენ უნდა წაიკითხოთ და ხელი მოაწეროთ ამ პაკეტში მოთავსებული თანხმობის ფორმას და დაუბრუნოთ იგი სკოლას, იმისთვის, რომ თქვენს შვილს ვაქცინები გაუკეთდეს სკოლაში.